

თვისების გამომხატველი ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
email:tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac.2023.30.04>

ზოგადად თვისების გადმოცემის უნარი გააჩნიათ ზედსართავსა და მიმღეობებს. ქართული ჟესტური ენა ზედსართავი სახლების განსაკუთრებული დიდი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ცხადია, ამ ენაში არის ძირითადი ზედსართავი სახელები, რომელთა ანალიზისას მნიშვნელოვანია კლასის კატეგორიის გააზრება. უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორია მსოფლიოს თითქმის ყველა ჟესტურ ენაში აქტიურია ზედსართავებთან.

ზედსართავთან ერთად წარსული დროის მიმღეობები ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია თვისების გადმოსაცემად. აქ წარმოდგენილია დერივაციული აფიქსი ‘უკვე’, რომელიც დაერთვის ძირითად ლექსიკურ ნაწილს. ამდაგვარი ფორმები ომონიმურია ზმნის პერფექტულ ფორმებთან. ენობრივი ანალიზისას რთულდება კონკრეტული დეფინიცია და ძნელი სათქმელია, ესა თუ ის ფორმა მიმღეობაა თუ ზმნის პერფექტული ფორმა. ეს საკითხი უკავშირდება ამ ზემოთხსენებული დერივანტის (‘უკვე’) ფართო სემანტიკურ ველს, რომლის ძირითადი სემანტიკური არსი არის უკვე მომხდარი, ანუ წარსული დროის მოქმედების გადმოცემა. თავისთავად, წარსული დროის მიმღეობაც არის უკვე ჩადენილი აქტი. მხოლოდ წინადადების სრული კონსტრუქციის ანალიზი იძლევა პასუხს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზმნასთან გვაქვს საქმე თუ მიმღეობასთან. ეს გარემოება (სხვა ამდაგვარ მოვლენებთან ერთად) განაპირობებს ჟესტური ენების მორფოლოგიურ თავისებურებებს და კიდევ ერთხელ უსავეს ხაზს მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემებს ჟესტურ ენებში.

სტატიაში ასევე წარმოდგენილია უარყოფითი თვისების სისტემა და მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, მორფოლოგიური თავისებურებები, თვისების გამომხატველი ფორმები.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

ზოგადად თვისების გადმოცემის უნარი გააჩნიათ ზედსართავსა და მიმღობებს. ქართული ქესტური ენა ზედსართავი სახლების განსაკუთრებული დიდი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ცხადია, ამ ენაში არის ძირითადი ზედსართავი სახელები [5: 510-576]. ზედსართავი სახელის ანალიზისას მნიშვნელოვანია კლასის კატეგორიის გააზრება. უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორია მსოფლიოს თითქმის ყველა ქესტურ ენაში აქტიურია ზედსართავებთან. მაგალითად, იხილეთ ფორმები *გამხდარი ცხოველი* და *გამხდარი ადამიანი*:



გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ცხოველი




გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ადამიანი

კლასის მიხედვით ასევე განსხვავებულია ფორმა *'მაღალი'* [5: 529-530]. წარსული დროის მიმღობები ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია თვისების გადმოსაცემად ზედსართავებთან ერთად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ წარსული დროის მიმღობებს ძირითადად აწარმოებს დერივაციული აფიქსი *'უკვე'*, რომელიც დაერთვის ძირითად ლექსიკურ ნაწილს. მაგ., *გატეხილი* = *გატეხვა+უკვე*, *შეღებილი* = *შეღებვა+უკვე*, *გაყვითლებული* = *გაყვითლება//ყვითელი +უკვე* და ა.შ. თავისთავად, ეს ძალიან საინტერესო საკითხია, რადგანაც ამდაგვარი ფორმები (როდესაც ისინი ზმნურ ნაწილს შეიცავენ)


ომონიმურია ზმნის პერფექტულ ფორმებთან. *შეღებვა+უკვე* ‘*შეღებილის*’ პარალელურად ასევე ნიშნავს ფორმას *“შეღებ(ვ)ა”* ფორმის პერფექტულ ვერსიას. ენობრივი ანალიზისას რთულდება კონკრეტული დეფინიცია და ძნელი სათქმელია, ესა თუ ის ფორმა მიმღეობაა თუ ზმნის პერფექტული ფორმა. ეს საკითხი უკავშირდება ამ ზემოთ ხსენებული დერივანტის (*“უკვე”*) ფართო სემანტიკურ ველს, რომლის ძირითადი სემანტიკური არსი არის უკვე მომხდარი, ანუ წარსული დროის მოქმედების გადმოცემა. თავისთავად, წარსული დროის მიმღეობაც არის უკვე ჩადენილი აქტი. მხოლოდ წინადადების სრული კონსტრუქციის ანალიზი იძლევა პასუხს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზმნასთან გვაქვს საქმე თუ მიმღეობასთან. ეს გარემოება (სხვა ამდაგვარ მოვლენებთან ერთად) განაპირობებს ჟესტური ენების მორფოლოგიურ თავისებურებებს და კიდევ ერთხელ უსავემს ხაზს მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემებს ჟესტურ ენებში. ჩვენ ადრე ვისაუბრეთ იმ სირთულეზე, რაც ზოგადად ახლავს ზმნისა და სახელის გამიჯვნას ჟესტურ ენათა მორფოლოგიებში [6].

სახელთა უარყოფითი ფორმები ძირითადად უქონლობის ფორმებია და ესენი იწარმოება უარყოფითი სუფიქსებით *‘გარეშე’* და *‘ცარიელი’*:



უგულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძობელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



უნიჭო – ვისაც ნიჭი არა აქვს


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნიჭი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

ბოლო ორ მაგალითში უარყოფითი მაწარმოებელი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი. ეს გამოწვეულია ენის სტანდარტიზაციის უქნოლობის გამო. აღსანიშნავია, რომ ზმნებში გვხვდება უარყოფითი ნაწილაკები ‘არ(ა)’ და ‘ვერ(ა)’, ხოლო სახელებში ზემოთ წარმოდგენილი ნეგაციის დერივაციული აფიქსებით ხდება უარყოფითი ფორმების წარმოება.

რაც შეეხება ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებს, ქართულ ჟესტურ ენაში არ არის ხარისხის მაწარმოებელი აფიქსები და შესაბამისად, არ გვაქვს ხარისხის მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა, ცხადია ენაში არის წარმოდგენილი ლექსიკური ხარისხი, რასაც აწარმოებს სიტყვა-ჟესტები ‘ოდნავ’ და ‘ძალიან’ [5: 559-560].



ცოტა, ოდნავ



ძალიან

ზემოთ წარმოდგენილი ორი ჟესტი ‘ოდნავ’ და ‘ძალიან’ დაერთვის ზედსართავ სახელს და (მსგავსად ბევრი ჟესტური და სამეტყველო ენისა) ლექსიკური საშუალებით აწარმოებს ხარისხის ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ზედსართავის ხარისხის წარმოების თვალსაზრისით, ქართული ჟესტური ენა არ არის რაიმე სახის გამონაკლისი, სამეტყველო ენების დიდ რაოდენობას აქვს ასეთი დეფიციტი და უჭირს ხარისხის დერივაციული მორფოლოგიური კატეგორიის წარმოება. ამიტომ ეს ენებიც, ქართული ჟესტური ენის მსგავსად, მიმართავენ ლექსიკურ საშუალებებს.

ლიტერატურა:

1. **ემორეი 2003**: Emmorey, K. (Ed.). *Perspectives on classifier constructions in sign languages*. Mahwah: Lawrence Erlbaum Associates.
2. **ემორეი, გრაბოვსკი, მაკულოუფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004** Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.
3. **თაუბი 2001**: Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.
4. **მახრობლიძე 2015**: ქართული ჟესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ
5. **მახრობლიძე 2012**: ქართული ჟესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
6. **მახრობლიძე 2019**: ქართული ჟესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.

7. *მახრობლიძე 2009*: ლინგვისტური წერილები - I. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. ISBN 978-9941-404-50-4 173 გვ.
8. *მახრობლიძე 2022*: ქართული ქესტური ენის წარმოშობის შესახებ, ჟურნალი „ენა და კულტურა # 28, ქუთაისი, 2022, გვ. 43-47
9. *მეირი 2010*: Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.
10. *პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019* : Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.

Tamar Makharoblidze
Ilia State University

Expressive forms of quality in Georgian Sign Language (GESL)²

In general, adjectives and adverbs have the ability to convey a quality. Georgian sign language (GESL) is not distinguished by a particularly large abundance of adjectives; however, it is clear that there are basic adjectives in this language, in the analysis of which it is important to understand the class-category. Actually, it should be said that this category is active with adjectives in almost all sign languages of the world.

The past tense participles are the most common forms to convey the quality of nouns along with adjectives. The derivational affix '*already*' is presented in these participles, which usually follows the main lexical part of a sign. Such forms are homonymous with the perfect forms of the verb. In linguistic analysis, a concrete definition becomes difficult and it is not easy to say whether this or that form is the participle or the perfect form of the verb. This issue is related to the wide semantic field of the above-mentioned derivative ('*already*'), the main semantic essence of which is to convey an action that has already happened, that is, in the past. Past tense participles refer to an action that has already been

² This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology

done, and have the same sematic content of perfect action. Only the analysis of the complete construction of the sentence gives an answer in all specific cases whether we are dealing with a verb or a participle. This circumstance (along with other such phenomena) determines the morphological features of sign languages and once again emphasizes the problems of identifying parts of speech in these languages.

This paper also presents the quality-negation system and examples.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა